# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 9 მარტი 1998 №33 (568) ფასი 30 თეთრი

## შოთას ოცნება და თემურის რმალობა



შოთა უხასიათოდაა

შოთა არველაძე — ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელ ჭრილობათა დასტაქარი. შოთას გოლები — ჯერაც მოურჩენელი იარების მალამო. ოღონდ ეგაა, ჯერ და მეტი, შოთას ევროპაში გააქვს, „აიაქსისთვის“ ილვწის.

როგორც ამასწინათ არჩილმა, გუშინ შოთამაც საუბარი ისე არ დამამთავრებინა, რომ არ ეკითხა, ნაკრების ამხანაგური მატჩების კალენდარი ხომ არ დადგენილა, მარტში მთელი მსოფლიო თამაშობს და ჩვენ იმათ შემყურე რად უნდა ვიყოთო.

შოთას საქართველოს სახელით თამაში მოსწყურებია, ნაკრების მაისურით გატანა. თორემ ისე იმდენი გააქვს, ეგებ სათვალავიც აგერიოს კაცს.

გუშინ შოთას გოლი არ შეუგდია — ჰქონდა მიზეზი. უტრეხტში სტადიონი დაიტბორა და მატჩი დანიშნულ დრომდე 90 წუთით ადრე გადაიდო.

ერთი სიტყვით, ჰოლანდიის ჩემპიონატის ისედაც რთულ და არეულ კალენდარს ერთი პრობლემაც შეემატა — როდის ესტუმრება „აიაქსი“ „უტრეხტს“. სხვისი რა გითხრათ და, შოთა კი ასე ფიქრობს: „აიაქსის“ განრიგი მეტად აღარ დაიტვირთება, რადგან უეფას თასიდან უკვე გამოვვარდით, ეს ტურნირი ჩვენთვის ჩავლილი ამბავიაო. შოთა და „აიაქსი“ მოსკოვში ორი კვირის წინ შელახული პრესტიჟის აღდგენას მაინც აპირებენ, მაგრამ ნახევარფინალში გასვლა 1:3 მარცხის შემდეგ შეუძლებლად მიაჩნიათ.

შოთა არველაძეს სამომავლო იმედი და მიზანი მაინც აქვს — აწი ჩემპიონთა ლიგისთვის უნდა ვემზადოო. ჩემპიონატს „აიაქსი“ 12 ქულით იგებს, ჰოლანდიის თასზეც წარმატებით მიიწევს. ფინალისკენ მოკლედ, ერთი მარცხით „აიაქსის“ ისტორის არც აქამდე დამთავრებულა და არც ახლა დამთავრდებაო.

შოთას აზრით, „სპარტაკთან“ წაგებას მხოლოდ ერთი მიზეზი როდი ჰქონდა. შეცდომა იყო სამი მცველით თამაში და თანაც, არც ჩემი გაფრთხილება გაითვალისწინეს — „სპარტაკთან“ ხომ ხუმრობა არ შეიძლება.

რუსებთან მარცხს მორტენ ოლსენის რეპუტაციაზე დამღუპველად არ უმოქმედია. მისი მაინც კმაყოფილნი არიან, წინა სეზონიდან სულ 4-5 კაცი დარჩა და მაინც ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბაო. როგორც ჩანს, ოლსენს ახალწვეულთა ძებნა ამ ზაფხულსაც მოუწევს. შოთას თქმით, გავრცელებული ინფორმაცია ტყუპი დე ბურები, კლუბთან 2004 წლამდე რომ აქვთ კონტრაქტი, „აიაქსის“ დატოვებას აპირებენო, სიმართლესთან საკმაოდ ახლოა.

„აიაქსის“ თავკაცს გიო ქინქლაძის მიწვევა გადაუწყვეტია, ოღონდ კლუბის ხელმძღვანელობა თავის სურვილს ხმამაღლა არ გამოხატავს, მიჩქმალვას ცდილობს. ისე, თუ ქინქლაძის ბოლოდროინდელ ინგლისურ პრობლემებს გავითვალისწინებთ, „აიაქსის“ ვარიანტი ყველაზე მეტად სავარაუდო იქნება. გიოს ჯერაც დასამთავრებელი აქვს ავტოავარიასთან დაკავშირებული სასამართლო. ბრიტანული წეს-კანონით, თუ სასამართლომ გაამტყუნა გაერთიანებული სამეფოს შრომის დეპარტამენტი კუნძულზე მუშაობის უფლებას დაუკავებს. ამ შემთხვევაში გიოს მზერა კონტინენტზე გადმოინაცვლებს. აქ კი, მისით ყველაზე მეტად სწორედ ამსტერდამის „აიაქსია“ დაინტერესებული.

ამასობაში, ინგლისელებს თავის ძალას თამაშ-თამაშ უმტკიცებს თემურ ქეცბაია.

...მე-16 წუთზე რობ ლის პასით თემურ ქეცბაიამ უძლიერესად დაარტყა. „ბარნსლის“ კარის დარაჯს დეი უოტსონს ბურთი ფეხებს შუა გაუძვრა და ანგარიშიც გაიხსნა. ინგლისის ასოციაციის თასზე ქეცბაიამ პირველი გოლი გაიტანა.

ბოლო ხანებში ქართველ ნახევარმცველს „ნიუკასლის“ ძირითად შემადგენლობაში თამაში სანატრელი გაუხდა, ახლა კი სრულიად მოულოდნელად კენი დალგლიშმა იგი პირველივე წუთიდან ათამაშა. შედეგი — ნაცვლად თამაშის მიწურულს გადამწყვეტი გოლების გატანისა, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა „ნიუკასლის“ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. ჯორდების კლუბი თასის გათამაშების ნახევარფინალში ბოლო 24 წლის მანძილზე პირველად გავიდა.

დალგლიში კარგ ხასიათზე გახლდათ. ან კი რატომ უნდა ყოფილიყო ცუდ გუნებაზე, როცა გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა თასისკენ.



თემურმა ისევ გაიტანა

თან თუ გათამაშებას შემორჩენილ გუნდებს გავითვალისწინებთ, თასის მოგებაც ნამდვილად არ უნდა ჩანდეს შეუძლებელი. დასავიწყარი არც ისაა, რომ თასის მოპოვება თემურის ვიწრო სპეციალობაა. იგი ორჯერ ფლობდა საბერძნეთის თასს, თუმცა ინგლისისა სხვაა.

ვახტანგ ბზიკაძე

## აუ, რამდენი გოლია!



REUTERS ბარსელონიდან

ვივა, კატალონია! — „ბარსელონამ“ „რეალს“ მოუგო

**ბარსელონა 3:0 რეალი**

ბარსელონა: ჰესპი, ფერერი, ბოგარდი, სერხი, ნადალი, სელადესი, ჯოვანი (ოსკარი 88), ლუის ენრიკე, ფიგუ, რივალდო, სონი ანდერსონი (ამორი 83)

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, სავიო (ვიქტორი 60), ზეედორფი, რედონდო, კარემბუ, რაული (ხაიმე 53), მიატოვიჩი (მორიენტესი 75)

1:0 სონი ანდერსონი (63), 2:0 ფიგუ (81), 3:0 ჯოვანი (86)

რა ვთქვათ თავიდან, რით დავიწყოთ? ბარსელონელი ქომაგები „რეალს“ როგორ ესხმოდნენ თავს? იქნებ ხოსე ლუის ნუნიესს ხელახლა გაპრეზიდენტება მივულოცოთ? თუ თამაშით დავიწყოთ?

რასაკვირველია, თამაშით უნდა დავიწყოთ. თავდასხმა და ხულიგნობა ფეხბურთი არაა, პრეზიდენტად კი გინდ ნუნიესი აურჩევიათ და გინდ ვინმე ლოპესი. კლუბების მეთაურები მიდიან და მოდიან, „ბარსელონა“ კი ყოველთვის შეეცდება მადრიდის „სამეფო გუნდის“ გაცამტვერებას. არც „რეალი“ შეიცოდებს ოდესმე კატალონიელებს. ამ ორი გუნდის დაპირისპირება მარად გრანდიოზული და საგანგებო რამ იქნება.

ამიტომაც დავიწყოთ თამაშით, ოღონდ მისი მეორე ტაიმით, როდესაც ღინებამ კალაპოტი იცვალა, ეს კი, თავის მხრივ, იმიტომ მოხდა, რომ მსაჯმა მადრიდელი ფერნანდო იერო გააძევა.

შემდეგ რივალდომ მარცხენა ფრთიდან თანამემამულე ბრაზილიელებს, სონი ანდერსონსა და ჯოვანის საგოლე პასები მიაწოდა, ლუიშ ფიგუმ კი მშვენიერი, „თავისი“ გოლი გაიტანა.

–შესვენებამდე ინიციატივა არავის მხარეს იყო, მომენტები კი ორივე მხარეს. მეხუთე წუთზე ლუის ენრიკემ მარჯვენიდან შეუტია, ბურთი ფიგუს მიაწოდა, პორტუგალიელმა კი ახლოდან ძელს გაარტყა. გავიდა შვიდი წუთი და იღბალს მასპინძლებმა უთხრეს მადლობა: კრისტიან კარემბუს თავური ძელმა უკუაგდო, ხოლო სავიოს დამატებული „ბარსელონას“ მეკარემ რუუდ ჰესპმა საკუთარ ხარიხას მიარტყა და ისე მოიგერია.

„რეალის“ გერმანელი მეკარე ბოდო ილგნერი დიდი ხანი არაა, რაც ისევ ძირითადში გამოჩნდა, მაგრამ კარგად გამოჩნდა. მან ლუის ენრიკეს პასით რივალდოს დარტყმული ჩინებულად გააუვნებლა. მერე ილგნერმა ისევ რივალდოს გაუფუჭა გუნება — აკრობატული ნახტომით ცხრიანიდან აჰკრა ხელი ბურთს, რომელიც ხარიხას მიახტა და ისე გადავარდა განზე.

დაუყოვნებლივ იქითა კართანაც შეიქმნა სახიფათო მომენტი, როცა მიგელ ანხელ ნადალმა რაულს დაუთმო ბურთი...

მსაჯსაც გაუჭირდა. იყო ეპიზოდი, როდესაც თამაში თითქოს უკონტროლო ხდებოდა. ერთ მომენტში „მილანის“ ყოფილი მოთამაშეები, ესპანეთში დაპირისპირებული კრისტიან პანუჩი და უინსტონ ბოგარდი (მათ „მილანში“ ერთდროულად არ უთამაშიათ) თან მირბოდნენ, თან ძიძგილაობდნენ.

მსაჯმა „რეალის“ ფეხბურთელებიც გააბრაზა. მან შესვენების მაუწყებელი მაშინ ჩასტვინა, როდესაც პრედრაგ მიატოვიჩი ხელსაყრელ მდგომარეობაში დარჩა.

მაგრამ „რეალმა“ ხმა არ ამოიღო, როდესაც არბიტრმა 52-ე წუთზე იეროს სონი ანდერსონის წაქცევისთვის გაწითლებული მეორე ყვითელი ბარათი ამოუღო.

მას მერე მოედანზე ერთი გუნდი დარჩა. „ბარსამ“ სადაც ვიწრო იყო, გაწყვიტა. რივალდომ მარცხენა ფრთაზე სივრცე იგდო ხელთ, ანდერსონი კი თანამემამულე მეურვეს, რობერტო კარლოსს გაექცა და ანგარიში გახსნა.

ამის შემყურე იუპ ჰაინკესმა, რომელსაც რაული უკვე შეცვლილი ჰყავდა, მეორე ფორვარდი, პრედრაგ მიატოვიჩიც შეცვალა, მაგრამ მისმა ცვლილებებმა შედეგი ვერ გამოიღო, ბოლო 10 წუთი მთლიანად „ბარსელონასი“ გახლდათ.

მეორე გოლი ფიგუმ შეაგდო. იგი რობერტო კარლოსს გასცდა და ძლიერი ცაცია დარტყმით ბურთი სტუმრების კარის ბადეში შეაგდო. მესამე გოლი კი პირველის ტყუპისცალი გახლდათ. ისევ რივალდომ ჩააწოდა მარცხნიდან, ოღონდ დარტყმით ამჯერად ანდერსონმა კი არა, ჯოვანიმ დაარტყა.

იხტიბარგატეხილმა მადრიდელებმა მეორე ნახევარში ორად ორი მომენტი შექმნეს, აი „ბარსამ“ კი ბოლო წუთებში მათ საჯარიმო მოედანს ბლღვირი ადინა.

პრესკონფერენციაზე ფეხბურთელებმა ერთხმად აღიარეს, რომ ყველაფერი იეროს გაძევებამ განაპირობა, იუპ ჰაინკესმა კი ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, ლევერკუზენში ნათამაშევი 1:1 გაიხსენა და დასძინა, იმ შეხვედრამ დაგვღალაო.

— ოთხშაბათს გადაღლილი გუნდისთვის იეროს გაგდების შემდეგ რიტმის შენარჩუნება შეუძლებელი საქმე გამოდგა. ასეთი ტიპის თამაშებში ერთი გაძევება, როგორც წესი, გადამწყვეტი ხდება. „რეალი“ 0:3-ის წაგებას არ იმსახურებდა — თქვა მწვრთნელმა.

მისმა ჰოლანდიელმა მეტოქე-კოლეგამ ლუის ვან გაალმა შესვენებისას თავისი ნათქვამი გაიხსენა:

— ბიჭებს ვუთხარი, გამარჯვებას იმის გაგრძელება მოგვიტანს, რასაც პირველ ნახევარში ვთამაშობდით-მეთქი. ჩვენ ინიციატივას ვფლობდით, პირველ ტაიმშიც ძალიან კარგად ვმოქმედებდით. მეტოქემ ორჯერ მოახვედრა ძელს, მაგრამ მეტი კარში სულ არ დაურტყამს.

ვან გაალმა ისიც აღნიშნა, რომ მისი გუნდის ზეწოლა იეროს გაძევებას არ გამოუწვევია, ეს ჩაფიქრებული ყოფილა.

რაღა დარჩა ესპანეთში? ნუთუ „ბარსელონა“ უკვე ჩემპიონია?

— ჩვენ შეიძლებიანი უპირატესობა გვქონია და დაგვიკარგავს, — გაიხსენა ალბერტ სელადესმა.

ხოსე ლუის ნუნიესს კი ყველაფერი დაავიწყდება, 1998 წლის 7 მარტი კი არა. 3:0 „რეალთან“. განა „ბარსას“ პრეზიდენტის სავარძელში ჯდომის 19 წლის განმავლობაში ასეთი დღე ბევრი ჰქონია? მაგრამ, რაც მთავარია, ნუნიესი 7 მარტს ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად.

ჰო, ჰო, რა ოპოზიცია ჰყავდა! ოპოზიციას ზურგს თვით დიდი კრუიფი უმაგრებდა.

ნუნიესს კლუბის ხმის უფლებიან წევრთაგან 64-მა მხარი დაუჭირა, 36-მა კი წინააღმდეგი თქვა და წააგო. ისე, კატალონიის კლუბის 100 წლიან ისტორიაში პირველად მოხდა, რომ პრეზიდენტს საჭოჭმანოდ გაუხდა საქმე...

ხოლო „რეალზე“ თავდასხმაო, ზევით რომ ვახსენეთ, ეს ამბავი თამაშის წინა დღისაა. მადრიდელები ბოლო ვარჯიშიდან პოლიციის დაცვით გაიყვანეს. ათასი კატალონიელი ესწრებოდა სამეფოს დედაქალაქის გუნდის წვრთნას, მაგრამ ვერ მოისვენეს, ბადე გაგლიჯეს და... კიდევ კარგი, პოლიციის რაზმს წააწყდნენ.

— ასეთი რამ ხშირად მომხდარა. გასაოცარი არაფერია. ჩვენ რომ გვიყურებენ სულ ღობის გადათელვას ლამობენ, — თქვა იერომ.

„რეალს“ ბარსელონას შემოგარენში სასტუმრო საგანგებოდ შეურჩიეს, ავ თვალს აცილდებაო. ვერ აცდა. ამ სასტუმროსთან რომ საწვრთნელი მოედანია, იქ მოხდა, რაც ზემოთ ვთქვით. ამ სასტუმროში „ბარსელონაც“ ხშირად გაჩერებულა, ოღონდ კრუიფის დროს.

ბაპუნა ძიძია

## ვერცხლისფერი ტრიუმფი

### მაკლარენი დაფრინავს

გუშინ მელბურნში, „ალბერტ პარკის“ ტრასაზე ვერცხლისფერი „მაკლარენების“ სრული ტრიუმფით დასრულდა წლევანდელი სეზონის პირველი ეტაპი.

„მაკლარენის“ ტანდემმა ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას დაამტკიცა თავისი უპირატესობა და პირველი ორი სასტარტო ადგილიც ირგუნა. მიხაელ შუმახერი მესამე გახლდათ, ვილნევი მეოთხე. აღსანიშნავია ჩემპიონატის დებიუტანტის ესტებან ტუეროს მე-17 სასტარტო ადგილი: ამ ახალგაზრდამ მასზე ბევრად გამოცდილი პილოტები მაგნუსენი, პანი და დინიციც ჩამოიტოვა.

იხილეთ მეოთხე გვერდი



მაკლარენმა ბრწყინვალედ დაიწყო:
ჰაკინენი (მარჯვნივ) პირველია, კულტჰარდი — მეორე

# ხანდახან მეამბოხეებიც იღლებიან

## ინგლისი

### XXIX ტური

**ლივერპული 2:1 ბოლტონი**
0:1 ტომპსონი (7), ინსი (58), 2:1 ოუენი (65)

**შეფილდი 2:0 მანჩესტერი**
1:0 აზერტონი (26), 2:0 დი კანიო (88)

**საუთჰემპტონი 2:1 ევერტონი**
1:0 ლე ტისიე (69პ), 2:0 ოსტენსტადი (86), 2:1 ტილერი (89)

**ჩელსი 0:1 ასტონ ვილა**
0:1 იოაკიმი (50)

— ხალხი ამბობდა, „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის შემდეგ გადაღლილი იქნებაო, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვიცოდი, რთული შეხვედრა გველოდა და ბიჭებიც შევამზადე. მიხარია, პრინციპული მატჩი რომ მოვიგეთ. ამ გამარჯვებას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — თქვა შეფილდელთა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა, რომლის გუნდმაც შაბათს ჩემპიონატის ლიდერები მართლაც იოლად დაამარცხა — ოლდტრეფორდელები „მონაკოსთან“ შეხვედრის შემდეგ გადაღლილები ჩანდნენ. გარდა ამისა, სტუმრებს პეტერ შმაიხელი, გარი პალისტერი და რაიან გიგზი აკლდნენ. მათი არყოფნა კი „მანჩესტერს“ კი არა, ყველა გუნდს დაემჩნეოდა.

ტაიმის შუაწელში „შეფილდ უენსდეის“ იტალიელ ლეგიონერთაგან ერთ-ერთი, ბენიტო კარბონე კუთხურს ათამაშებს. შეტევას ინგლისური ფეხბურთისთვის დამახასიათებელი საჯარიმოში ჩაწოდება მოსდევს, იქ კი ყველას აზერტონმა აჯობა, რომლის თავური ვან დერ გოუმ ვერ მოიგერია. ჩამორჩენის შემდეგ აბა, რომელი გუნდი არ ცდილობს, მარცხს თავი დააღწიოს, მანჩესტერელებსაც ეწადათ გადარჩენა, მაგრამ მათ უსულგულოდ განხორციელებულ თავდასხმებს შედეგიანად დასრულება რომ არ ეწერა, თავიდანვე ადვილად მისახვედრი იყო. აკი ასეც მოხდა. ეგ კი არა, სტუმრებმა მეორე გოლიც გაუშვეს — კარბონეს თანამემამულე დი კანიომ პრემიერლიგაში მე-11 ბურთი გაიტანა, თან „წითელი ეშმაკუნების“ ჩემპიონობისკენ ძლევამოსილი სვლა დროებით შეაჩერა.

ლიდერის წაგებით მისმა ერთ-ერთმა მდევარმა, „ლივერპულმა“ იხეირა — გუნდმა მართალია ძნელად, მაგრამ მაინც სძლია „ბოლტონი“. შეხვედრის დასაწყისი „ლივერპულისთვის“ არასასურველი გამოდგა — ალან ტომპსონის შორიდან დარტყმულის მოგერიება ამერიკელმა ბრედ ფრიდელმა ვერ შეძლო. ისე, რაკი მეკარე ვახსენე, აქვე დავძენ, რომ იგი კლუბის კარის ძირითად დარაჯ დეივიდ ჯეიმსს საგრძნობლად ჩამოუვარდება. რატომ ამჯობინებს „ლივერპულის“ მწვრთნელი როი ევანსი ფრიდელის თამაშს, ნამდვილად გაუგებარია. ტომპსონის გოლმა მასპინძლებს, ცხადია, ხასიათი წაუხდინა, მაგრამ მასვე რამდენიმე წუთის შემდეგ ბურთი ხარიხისთვის რომ არ მოერტყა და კარში გაეგზავნა, იქნებ ენფილდ როუდელებს შეხვედრა ველარც გადაერჩინათ, მაგრამ ბედმა გაუღიმათ. მატჩის შველა კი მხოლოდ მეორე ნახევარში მოახერხეს. თავდაპირველად პოლ ინსმა საგოლედ დაჰკრა თავი, მოგვიანებით კი დიდი მომავლის მქონე მაიკლ ოუენმა, რომელიც პირველ სეზონს თამაშობს პრემიერლიგაში (მართალია გასული სეზონის ბოლოს მან რამდენიმე შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ მაშინ უმეტესწილად შეცვლებზე გამოჰყავდათ, ამ სეზონში კი გუნდის ძირითადი თავდამსხმელია), მორიგი, მე-14 გოლი შეაგდო და პირველობის ბომბარდირობაზეც საფუძვლიანი პრეტენზიები განაცხადა.

შაბათს კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა — ლივერპულის მეორე გუნდმა „ევერტონმა“ „საუთჰემპტონთან“ წააგო. მასპინძლები 36-ე წუთიდან ათნი თამაშობდნენ — უხეშობისთვის ჰოლანდიელი მცველი კენ მონკუ გააგდეს, წესის დარღვევისთვის დანიშნული პენალტიდან კი სტუმართა ფრანგმა თავდამსხმელმა მადარმა ვერ იხეირა. მისი დარტყმის მოგერიება მასპინძელთა კარის დარაჯ ჯონსს არ გასჭირვებია. მადარისგან განსხვავებით, ლე ტისიემ პენალტი გამოიყენა, ბოლო წუთებში კი ნორვეგიელმა ოსტენსტადმა მეორედ აიღო ტომას მერის კარი. კარლ ტილერის ერთადერთ საპასუხო ბურთს პრესტიჟისა ეთქმოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 18 | 5 | 6 | 57:21 | 59 |
| ლივერპული | 29 | 14 | 8 | 7 | 48:29 | 50 |
| არსენალი | 26 | 13 | 9 | 4 | 45:26 | 48 |
| ბლექბერნი | 27 | 13 | 9 | 5 | 49:33 | 48 |
| ჩელსი | 28 | 14 | 3 | 11 | 52:31 | 45 |
| დერბი | 28 | 13 | 6 | 9 | 44:34 | 45 |
| ლიდსი | 28 | 12 | 6 | 10 | 36:30 | 42 |
| ლესტერი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:28 | 40 |
| ვესტ ჰემი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| საუთჰემპტონი | 29 | 12 | 4 | 13 | 36:38 | 40 |
| ქოვენთრი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| შეფილდი | 29 | 10 | 7 | 12 | 43:54 | 37 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 6 | 13 | 31:39 | 36 |
| ნიუკასლი | 27 | 9 | 7 | 11 | 26:31 | 34 |
| უიმბლდონი | 26 | 8 | 8 | 10 | 28:30 | 32 |
| ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 33:42 | 30 |
| ტოტენჰემი | 29 | 8 | 6 | 15 | 26:44 | 30 |
| ბარნსლი | 27 | 7 | 4 | 16 | 24:63 | 25 |
| ბოლტონი | 28 | 4 | 12 | 12 | 24:45 | 24 |
| კრ. პალასი | 27 | 5 | 8 | 14 | 21:41 | 23 |

### პირველი დივიზიონი

37-ე ტური. სიტი — ოქსფორდი 0:2, ბირმინგემი — ქუინზ პარკი 1:0, ბერი — ნორვიჩი 1:0, ქრიუ — ნოტინგემი 1:4, იფსვიჩი — ჩარლტონი 3:1, რედინგი — პორტ ვეილი 0:3, სტოკი — ჰადერსფილდი 1:2, სანდერლენდი — სტოკპორტი 4:1, სვინდონი — პორტსმუთი 0:1, ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 36 | 21 | 8 | 7 | 60:33 | 71 |
| სანდერლენდი | 35 | 20 | 8 | 7 | 63:36 | 68 |
| მიდლსბრო | 35 | 20 | 8 | 7 | 55:36 | 68 |
| ჩარლტონი | 36 | 18 | 8 | 10 | 63:46 | 62 |
| იფსვიჩი | 36 | 15 | 13 | 8 | 59:38 | 58 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 15 | 13 | 6 | 50:37 | 58 |
| ბირმინგემი | 35 | 14 | 12 | 9 | 48:30 | 54 |
| სტოკპორტი | 37 | 16 | 6 | 15 | 60:53 | 54 |
| ვულვზი | 34 | 15 | 7 | 12 | 44:36 | 52 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 14 | 9 | 14 | 36:42 | 51 |
| ბრედფორდი | 37 | 12 | 13 | 12 | 38:39 | 49 |
| ქრიუ | 37 | 14 | 5 | 18 | 45:53 | 47 |
| სვინდონი | 36 | 13 | 7 | 16 | 36:51 | 46 |
| ოქსფორდი | 36 | 12 | 8 | 16 | 45:50 | 44 |
| ნორვიჩი | 37 | 11 | 11 | 15 | 36:56 | 44 |
| ქუინზ პარკი | 36 | 10 | 13 | 13 | 42:50 | 43 |
| ბერი | 37 | 8 | 18 | 11 | 35:43 | 42 |
| ტრანმერი | 35 | 10 | 10 | 15 | 37:42 | 40 |
| პორტსმუთი | 36 | 11 | 7 | 18 | 40:51 | 40 |
| სიტი | 37 | 10 | 9 | 18 | 41:44 | 39 |
| ჰადერსფილდი | 37 | 10 | 9 | 18 | 39:57 | 39 |
| რედინგი | 36 | 10 | 9 | 17 | 35:56 | 39 |
| პორტ ვეილი | 37 | 10 | 8 | 19 | 42:53 | 38 |
| სტოკ სიტი | 37 | 8 | 13 | 16 | 35:52 | 37 |




შეფილდი — მანჩესტერი. სოლსკიაერმა (მარცხნივ) და მისმა თანაკლუბელებმა შეფილდელებს ვერაფერი დააკლეს

## ასოციაციის თასი

### მეოთხედფინალი

**ლიდსი 0:1 ვულვერჰემპტონი**
0:1 გუდმენი (82)

**ქოვენთრი 1:1 შეფილდ იუნ.**
1:0 დაბლინი (32პ), 1:1 მარსელი (45)

**არსენალი 1:1 ვესტ ჰემი**
0:1 პირსი (12), 1:1 ბერხკამპი (26პ)

**ნიუკასლი 3:1 ბარნსლი**
1:0 ქეცბაია (16), 2:0 სპიდი (26), 2:1 ლიდელი (57), 3:1 ბეტი (90)

...რამდენიმე დღის წინ გილესპიმ დუბლინში იჩხუბა, იქ ნაცემარმა კი გუშინ თამაში ვერ შეძლო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, დალგლიშს ქეცბაია ძირითადში რომ გაემწესებინა. თავის მხრივ, მატჩის ბოლო წუთებზე გოლების გატანას დაჩვეულმა თემურმა ამჯერად დებიუტშივე იხეირა. მისი დარტყმული სტუმართა მეკარეს ფეხებსშუა გაუძვრა. მას კიდევ შეეძლო ეხეირა, მაგრამ ტაიმის მიწურულს უძლიერესად დარტყმული კარს მცირედით ასცდა. სხვათა შორის ქეცბაიას საგოლედ, ისევე როგორც სპიდს, რობერტ ლიმ უპასა.

ბოლოს „ვულვერჰემპტონმა“ ქვეყნის თასის ნახევარფინალში 1981 წელს ითამაშა, ახლა კი 17 წლის შესვენების შემდეგ კვლავ უწია ამ ეტაპს. გუდმენის ერთადერთმა გოლმა მატჩის ბედი პირველ დივიზიონელების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ისე, სტუმართა მეკარე ჰანს სეგერსს 89-ე წუთზე ჯიმის პენალტი რომ არ მოეგერიებინა, გამარჯვებულის გასარკვევად იქნებ განმეორებითი მატჩის დანიშვნაც გამხდარიყო საჭირო.

გადათამაშება „ქოვენთრის“ და „შეფილდ იუნაიტედს“ მოუწევთ — მათ ნახევარფინალისტი ვერ გაარკვიეს და ახლა ერთმანეთს ხელახლა 17 მარტს დაუპირისპირდებიან. სხვათა შორის, „ქოვენთრიმ“ ზედიზედ შვიდი გამარჯვებისგან შემდგარი ბრწყინვალე სერია შეწყვიტა, კლუბის ფორვარდმა დინ დაბლინმა კი ბოლო ცხრა შეხვედრაში მერვე გოლი შეაგდო. აღსანიშნავი ისიცაა, რომ მასპინძელთა კარი ბოლო სამი თვის მანძილზე პირველად დაიცვა 40 წლის სტივ ორგიზოვიჩმა, რომელმაც ტრავმირებული მაგნუს ჰედმანის ნაცვლად ითამაშა.

გუშინ „არსენალმა“ თანაქალაქელი „ვესტ ჰემის“ ძლევა ვერ მოახერხა. ლონდონური დერბი ძალიან დაძაბული გამოდგა და სანახავადაც ჩინებული ეთქმოდა. რაღაი მასპინძელი იყო, ფავორიტად, ცხადია, „არსენალი“ ითვლებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ „მეთოფეებმა“ მეზობლების გვარიანი წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოახერხეს და ახლა ნახევარფინალში გასასვლელად კიდევ ერთი მატჩი იქნება სათამაშო. ზემოხსენებული მატჩის დარად ესენიც 17 მარტს ითამაშებენ.

დასაწყისშივე არსენალელთა რამდენიმე უეცარმა შეტევამ შედეგი ვერ მოიტანა. ეს იერიშები ნაჩქარევი, დაულაგებელი და მოუმზადებელი გახლდათ და მათგან სახეიროს გამორჩენის მოლოდინი ამაო იყო, სტუმართა პირველივე კონტრშეტევა კი გოლით დასრულდა: „ვესტ ჰემმა“ კუთხურის უფლება მოიპოვა, ბურთი საჯარიმოში გაიგზავნა, იქ კი იან პირსმა მარცხენათი ალექს მენინგერს აუღებელი დაურტყა. „ჩაქუჩების“ დაწინაურება საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ.

შეხვედრის შემდეგ მასპინძელთა ნიღწამხდარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, შუა მოედანი რატომღაც დავთმეთ, თავდამსხმელებს და მცველებს შორის დიდი ნაპრალი იყო. მატჩის სასურველად დასრულებაც სწორედ ამიტომ ვერ შევძელითო. მანვე დასძინა, საპასუხო შეხვედრას სტუმრად კი ვითამაშებთ, მაგრამ ნახევარფინალში გასვლის იმედი იოტისხელადაც არ დამიკარგავსო.

ჩვენი დროის „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ დენის ბერხკამპმა, ვინ მოთვლის, მერამდენედ იხსნა „არსენალი“. ახლაც მის მიერ ზუსტად დარტყმულმა პენალტმა გუნდს მომდევნო წრეში გასვლის შანსი დაუტოვა, თერთმეტმეტრიანი კი ვესტჰემელთა უხეშობას მოჰყვა. სტუმართა ფრანგი მეკარე ბერნარ ლამა უძლური იყო.

გუშინვე გაიმართა თასის გათამაშების ნახევარფინალის კენჭისყრა: ლიდსელთა მძლეველი „ვულვერჰემპტონი“ ამ ეტაპზე ლონდონურ დერბიში გამარჯვებულ „არსენალს“ ანაც „ვესტ ჰემს“ შეხვდება, „ქოვენთრი“ — „შეფილდ იუნაიტედის“ წყვილში მოგებული კი „ნიუკასლს“. მატჩები ნეიტრალურ მინდვრებზე გაიმართება 5 აპრილს.

**ლაშა გოდუაძე**

## იტალია

### XXIV ტური

**ბარი 2:0 ემპოლი**
1:0 მასინგა (33), 2:0 ინგესონი (90)

**ბრეშა 3:2 ლეჩე**
1:0 ადანი (9), 1:1 პალმიერი (23), 1:2 იანუცი (32), 2:2 სიპრიენი (35ს.კ.), 3:2 კოზმინსკი (63)

**ფიორენტინა 1:1 პიაჩენცა**
0:1 დიონიჯი (26პ), 1:1 მორფეო (72პ)

**ლაციო 2:0 რომა**
1:0 ბოკშიჩი (50), 2:0 ნედველი (62)

**მილანი 1:0 სამპდორია**
1:0 ციგე (37)

**ნაპოლი 0:0 ბოლონია**

**პარმა 1:0 ინტერი**
1:0 კრესპო (78)

**უდინეზე 1:1 იუვენტუსი**
1:0 ბაკინი (76), 1:1 დელ პიერო (89)

**ვიჩენცა 1:0 ატალანტა**
1:0 დი ნაპოლი (82)

რონალდომ პენალტი ვერ გაიტანა, რის გამოც „ინტერმა“ „პარმასთან“ 0:1 წააგო, ლიდერმა „იუვენტუსმა“ კი უდინეში, „უდინეზეს“ ფრე გამოგლიჯა — 1:1.

საამისოდ ტურინელ სტუმრებს ბოლო წუთზე დასჭირდათ გოლის გატანა. ალესანდრო დელ პიერომ იყოჩაღა, მარცხენა მხრიდან დაუსხლტა მეურვეებს და ზუსტი დარტყმით თანაგუნდელები კი არა, მწვრთნელი მარჩელო ლიპიც ახალგაზრდა ბიჭივით გაახარა.

„პარმას“ არგენტინელმა ერნან კრესპომ მოუტანა გამარჯვება. მოთამაშეებით გავსებულ საჯარიმოში მან ნახევარბრუნით დარტყმა და ბურთის კარის ჭერში შეგდება მოახერხა.

არადა, „ინტერს“ თავისი 90-ე წლისთავის აღნიშვნა „ტარდინის“ სტადიონზე ისტორიაში პირველი გამარჯვებით შეეძლო. 35-ე წუთზე „შავ-ლურჯების“ არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო სიმეონემ მართალია თაურით გაიტანა, მაგრამ არბიტრმა არ ჩაუთვალა, იქ ვიღაც ოფსაიდში იდგაო, 67-ზე კი რონალდოს წაქცევისთვის (ბრაზილიელი მისმა თანამემამულემ ზე მარიამ წააქცია) დანიშნული პენალტი ხოტორა ვარსკვლავს პარმელთა დიდებულმა, ახალგაზრდა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა აუღო.

„ფიორენტინა“ არგენტინელი თავდამსხმელის გაბრიელ ბატისტუტას გარეშე თავისი ნახევარიც რომ არაა, ფაქტია, „პიაჩენცასთან“ კი მას ბელგიელი ლუის ოლივეირაც აკლდა. ორივე უცხოელი თავ-თავიანთ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი.

ასე დარჩენილ ფლორენციელებს ფრის სათამაშოდ მეორე ტაიმში პენალტის მონადირება დასჭირდათ, თორემ გოლი ვერაფრით გაეტანათ. თერთმეტი მეტრიდან დომენიკ მორფეომ გაქვითა ანგარიში, რომელიც დავიდე დიონიჯიმ იმავე მეთოდით გახსნა.

„მილანის“ შემადგენლობაში მეორე გოლი გაიტანა გერმანელმა კრისტიან ციგემ, რომელსაც ასისტენტობა ხორვატმა ზვონიმირ ბობანმა გაუწია. „შავწითლებს“ კვლავ არ გადაწურვიათ მომავალ სეზონში უეფას თასზე გასვლის იმედი. აღსანიშნავია, რომ ციგემ პირველი გოლიც „სამპდორიას“ გაუტანა.

თამაშის შემდეგ მილანელთა პრეზიდენტმა, იტალიის გადამდგარმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ამ გამარჯვებას „მილანური სულის ზეობა“ უწოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 15 | 7 | 2 | 50:20 | 52 |
| ლაციო | 24 | 14 | 6 | 4 | 42:17 | 48 |
| ინტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 41:21 | 47 |
| პარმა | 24 | 12 | 8 | 4 | 39:23 | 44 |
| უდინეზე | 24 | 12 | 7 | 5 | 44:29 | 43 |
| რომა | 24 | 11 | 8 | 5 | 43:29 | 41 |
| ფიორენტინა | 24 | 10 | 9 | 5 | 45:27 | 39 |
| მილანი | 24 | 10 | 8 | 6 | 30:22 | 38 |
| სამპდორია | 24 | 9 | 7 | 8 | 39:40 | 34 |
| ვიჩენცა | 24 | 8 | 5 | 11 | 26:44 | 29 |
| ბოლონია | 24 | 6 | 9 | 9 | 33:34 | 27 |
| ბრეშა | 24 | 7 | 5 | 12 | 32:38 | 26 |
| ბარი | 24 | 7 | 5 | 12 | 22:34 | 26 |
| პიაჩენცა | 24 | 4 | 12 | 8 | 18:28 | 24 |
| ემპოლი | 24 | 6 | 5 | 13 | 34:43 | 23 |
| ატალანტა | 24 | 4 | 9 | 11 | 19:34 | 21 |
| ლეჩე | 24 | 3 | 4 | 17 | 18:55 | 13 |
| ნაპოლი | 24 | 2 | 5 | 17 | 15:52 | 11 |

### სერია B

25-ე ტური. პადოვა — ვენეცია 0:0; დი სანგრო — ლუკეზე 0:2; კალიარი — ჯენოა 1:1; კიევო — რავენა 2:0; ფ. ანრია — მონცა 1:3; პერუჯა — სალერნიტანა 1:1; პესკარა — ფოჯა 1:0; რეჯინა — ანკონა 2:1; ტორინო — ვერონა 2:1; ტრევიზო — რეჯანა 0:5

## ესპანეთი

### XXVIII ტური

**სალამანკა 2:1 ესპანიოლი**
0:1 არტეაგა (17), 1:1 პრიეტო (62), 2:1 ველისკა (85)

**სოსიედადი 0:1 სარაგოსა**
0:1 ბელსუე (50)

**დეპორტივო 2:1 ოვიედო**
1:0 აბრეუ (30), 1:1 ხუან გონსალეხი (64), 2:1 ჯალმინია (83)

**სპორტინგი 0:1 სელტა**
0:1 მოზესი (71)

**ტენერიფე 0:2 ბილბაო**
0:1 ლარასაბალი (10პ), 0:2 ეჩებარია (70)

**მალიორკა 1:1 ვალიადოლიდი**
0:1 კლიმოვიჩი (58), 1:1 მარსელინო (90)

**რასინგი 1:1 კომპოსტელა**
1:0 სიეტესი (21ს.კ.), 1:1 ჩანჯუი (63)

**ატლეტიკო 0:0 ბეტისი**

**ვალენსია — მერიდა**
დღეს გაიმართება

მადრიდის „ატლეტიკოს“ თუკი ჰქონდა ჩემპიონობის იმედი, ახლა იგი უთუოდ შეუმცირდებოდა, რადგან მან მშობლიურ „ვისენტე კალდერონზე“ კაცნაკლულ „ბეტისს“ უგოლო ფრეზე მეტი ვერ მოუხერხა.

მადრიდელთა ჩაძინებამ გამოაფხიზლა „სელტა“, რომელმაც მოჯახირე „სპორტინგს“ 1:0 მოუგო და მესამე ადგილზე აცოცდა.

— დღეს ძალიან ხშირად გვქაჩავენ მაისურზე — დაიჩივლა „ატლეტიკოს“ ნახევარმცველმა ხოსე ლუის კამინერომ, რომელიც თავის გუნდზე გულაცრუებული იყო და უეფას თასზე „ასტონ ვილასთან“ შეხვედრის შემდეგ მაყურებლის სტვენა რომ ისმინა, განაცხადა, სულაც წავალ აქედანო.

წუხელ კამინერომ სხვაგვარად თქვა:
— ხალხი კარგად იქცეოდა.

— თამაში არ მომეწონა. ჩვენ ცუდად ვითამაშეთ, მაშინც კი 11 10-ის წინააღმდეგ რომ ვიყავით — განაცხადა „ატლეტიკოს“ მეპატრონემ, ექსცენტრულმა მილიონერმა ხესუს ხილი ხილმა — მთავარი ეტყობა ისაა, რომ ჩვენ კიკო გვაკლდა.

„რეალ სოსიედადი“ საშინელ სვლას განაგრძობს. ახლა შინაც კი წააგეს, პირველად მიმდინარე სეზონში. ხოლო ბასკეთის მეორე გუნდმა, ბილბაოს „ატლეტიკმა“ „ტენერიფესთან“ 2:0-ის მოგებით თითქოს ფორმა აღიდგინა.

ამ თამაშში ოთხი მოთამაშე გააძევეს მოედნიდან. იყო ორი პენალტი, რომელთაგან ერთი „ტენერიფეს“ თავდამსხმელმა მეჰო კოდრომ ააცილა, არადა ზუსტად რომ დაერტყა, ესპანურ ლიგაში თავის მეასე გოლს გაიტანდა.

თასის ფინალისტმა „მალიორკამ“ გვიან გატანილი გოლით იხსნა ქულა „ვალიადოლიდთან“ შეხვედრაში, ჯალმინიას გვიან გატანილმა კი „დეპორტივო ლა კორუნიას“ „ოვიედო“ დაამარცხებინა.

„სალამანკამ“ „ესპანიოლს“ მარტინ ვალისკას გოლით მოუგო. ეს გოლი ვალისკასთვის ამ სეზონში პირველი იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 27 | 17 | 4 | 6 | 59:37 | 55 |
| რეალი | 28 | 14 | 8 | 6 | 49:33 | 50 |
| სელტა | 28 | 14 | 5 | 9 | 39:32 | 47 |
| ატლეტიკო | 28 | 12 | 10 | 6 | 56:35 | 46 |
| სოსიედადი | 28 | 11 | 11 | 6 | 42:28 | 44 |
| ბეტისი | 27 | 12 | 8 | 7 | 38:34 | 44 |
| ბილბაო | 28 | 11 | 11 | 6 | 36:33 | 44 |
| მალიორკა | 28 | 11 | 10 | 7 | 39:25 | 43 |
| ესპანიოლი | 28 | 9 | 12 | 7 | 35:23 | 39 |
| სარაგოსა | 28 | 10 | 9 | 9 | 38:44 | 39 |
| ვალენსია | 27 | 11 | 5 | 11 | 39:33 | 38 |
| დეპორტივო | 28 | 8 | 12 | 8 | 32:30 | 36 |
| ვალიადოლიდი | 28 | 10 | 6 | 12 | 27:40 | 36 |
| ოვიედო | 28 | 7 | 13 | 8 | 29:34 | 34 |
| სალამანკა | 28 | 8 | 7 | 13 | 24:32 | 31 |
| რასინგი | 28 | 8 | 7 | 13 | 32:42 | 31 |
| მერიდა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:40 | 31 |
| კომპოსტელა | 28 | 6 | 10 | 12 | 36:48 | 28 |
| ტენერიფე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:48 | 28 |
| სპორტინგი | 28 | 1 | 4 | 23 | 24:62 | 7 |

### მეორე დივიზიონი

30-ე ტური. ეიბარი — ალბასეტე 2:0; ლას პალმასი — ტოლედო 1:2; ლეიდა — ვილიარეალი 0:2; ორენსე — რაიო ვალეკანო 2:0; ხაენი — ერკულესი 0:0; სერესი — ოსასუნა 0:2; ელჩე — ლევანტე 1:0; ესტრემადურა — ალავესი 2:1; ბადახოსი — ლეგანესი 1:1; ლოგრონიესი — ატლეტიკო B 1:0; სევილია — ნუმანსია 1:0

# ეკლიანი ვარდები წითელ პარასკევს

## გერმანია

XXV ტური

**ვერდერი 1:1 კაიზერი**

1:0 ჰფაიფენბერგერი (14), 1:1 შიონბერგი (35პ)

**ბოხუმი 0:0 ჰამბურგი**

**მიუნხენი 4:2 დორტმუნდი**

1:0 სტევიჩი (4), 2:0 ჰობში (8), 3:0 ვინკლერი (15), 4:0 ჰობში (25), 4:1 მიოლერი (81), 4:2 შნაიდერი (83)

**არმინია 3:3 დუისბურგი**

1:0 მაისნერი (6), 1:1 ვოლტერსი (65), 2:1 რეინა (69), 2:2 სალუ (75), 3:2 დაეი (83), 3:3 სალუ (88)

**ჰანზა 1:2 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (13), 0:2 ზივკოვიჩი (40), 1:2 შტუდერი (46)

**კიოლნი 2:0 ჰერტა**

1:0 ტრეტშოკი (41), 2:0 მიუნხი (88)

**კარლსრუე 2:5 გლადბახი**

0:1 პასლაკი (17), 1:1 რეგისი (28), 1:2 იუსკოვიაკი (49), 2:2 კელერი (58), 2:3 ეფენბერგი (68), 2:4 პასლაკი (88), 2:5 ეფენბერგი (90)

**შალკე 1:0 ბაიერნი**

1:0 ლინკე (19)

**შტუტგარტი 2:1 ვოლფსბურგი**

0:1 პრეგერი (21), 1:1 ლიშტესი (61), 2:1 ჯორჯევიჩი (77)

რეჰაგელისთვის მეტად ემოციურ მატჩში „კაიზერსლაუტერნმა" ორი ქულა დაკარგა. პარასკევს ოტოს ბრემენში წითელი ვარდებით შეეგებნენ, ეს იმ თოთხმეტწლიანი ნაშრომის დაფასება იყო, რომელმაც რეჰაგელის „ვერდერი" პროვინციული გუნდიდან ანგარიშგასაწევ საერთაშორისო ძალად აქცია.

„კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი, რომელმაც „ვერდერი" 1995 წელს დატოვა, თამაშის დაწყებიდან 15 წუთში დარწმუნდა, ბრემენულ ვარდთა კონას მწარე ეკლებიც რომ ახლდა. ავსტრიელი ჰაიმო ჰფაიფენბერგერის თაურმა მასპინძლები დააწინაურა და ბუნდესლიგის ლიდერს „ვერდერის" დევნა მოუხდა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ტრარესი სტუმართა თავდამსხმელ რიშეს რომ ეუხეშა, ანგარიშიც გათანაბრდა. დანიელმა შიონბერგმა ზუსტად დაარტყა პენალტი, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა. მეორე ტაიმმა ანგარიში ვერაფრით შეცვალა — არბიტრმა 68-ე წუთზე მასპინძელთა შვეიცარიელი მცველი ვიკი კი გააძევა, მაგრამ ორ წუთში მისი კაიზერელი კოლეგა ბალაკიც გასახდელში მიაბრძანა.

ამ ტურში მსაჯებმა მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინეს. პარასკევი კი ყველაზე წითელი გამოდგა. მაშინ, როცა ბრემენში დანიელმა ნახევარმცველმა ანგარიში გაათანაბრა, ბოხუმში არბიტრმა სტუმარი ნახევარმცველი ჰარალდ სპიორლი გააძევა. რაგინდ საოცარიც არ უნდა იყოს, „ჰამბურგმა" თითქმის ერთ საათს კაცნაკლულმა გაძლო უგოლოდ. მეტად ძვირფას ქულას სტუმრები მეკარე ჰანს-იორგ ბუტს უნდა უმადლოდნენ. თუკი პარასკევის მატჩები ზავით დასრულდა, შაბათს მიუნხენსა და კარლსრუეში ბომბმა იფეთქა. ბავარიულმა „ტერაქტმა" ოთხშაბათს მიუნხენშივე ნავარგი „დორტმუნდი" იმსხვერპლა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თასის იფლობელი „ბაიერნს" რომ გაუმკლავდა, უკვე 25-ე წუთზე 0:4 აგებდა „მიუნხენ 1860"-თან. „დორტმუნდი" წაგებას ვერ გადარჩა, მაგრამ მიოლერისა და სამარქაფო შნაიდერის გვიანმა გოლებმა დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა.

კარლსრუეში მთავარი „ტერორისტი" შტეფან ეფენბერგი იყო. „გლადბახი" სწორედ მაშინ დაწინაურდა, პასლაკმა კაპიტნის პასი რომ გამოიყენა. მასპინძლებმა ათ წუთში გაათანაბრეს და ეს იგივე დროში იუსკოვიაკის გოლის შემდეგაც მოახერხეს. სტუმრებმა მაინც იძალეს. ეფენბერგმა ჯერ საფირმო ჯარიმა გახვია ბადეში და შემდეგ ნახევარი მინდორი მარტოკამ გადაირბინა, მეკარესთან მიახლოებულმა კი მუხლებზე დაჩოქილს გაუტანა. ამ ორ გოლს შორის ისევ პასლაკმა ივარგა. ამ მოგებამ „გლადბახი" ცხრილში აანაცვლა.

დიდი დრამა დატრიალდა ბილეფელდში. რამდენჯერაც არ დაწინაურდა „არმინია", „დუისბურგი" იმდენჯერ დაეწია. თვალის სეირი უფრო მეორე ტაიმის შუაწელიდან დაიწყო — ლამის ყოველ ხუთ წუთში რიგრიგობით გამოჰქონდათ მეკარეებს ბურთი ბადიდან. ბოლოს წინ ნორვეგიელი ტომას გილი დაიხარა — ირანელმა ალი დაეიმ დიდებული ცაცია გოლი გაუტანა ჩვენს მომავალ მეტოქეს.



შტეფან ეფენბერგს დუბლი და ნანატრი მოგება უხარია

REUTERS კორესპონდენტი

ამ მატჩის დასაწყისში „დუსბურგის" შავკანი სალუ თამაშგარის სასტვენის შემდეგაც ეჭიდავა „არმინიას" მეკარეს. თბილისში ტიროლელთა რიგებში ნათამაშევმა პოლ კოხმა სალუს კი დაუყვავა, მაგრამ ტოგოელმა ორჯერ მაინც დასაჯა. სწორედ სალუმ გაათანაბრა ანგარიში საბოლოოდ და „არმინიას" ორი ქულა დააკარგვინა.

„კიოლნს" და „ლევერკუზენს" მეტოქეთა ძლევა არ გასჭირვებიათ, მაგრამ პირველმა მაინც ხიფათში ჩაიგდო თავი. სტუმარ ჩამისთან უხეშობისთვის არბიტრმა ჰაუპტმანი კი გააგდო, მაგრამ 5 წუთში ტრეტშოკმა მაინც მასპინძლები დააწინაურა. მეორე ტაიმში ტრეტშოკს კვლავ მიეცა შანსი — პოლსტერმა სტუმართა დაცვას პენალტი აჰკიდა, მაგრამ ექს-დორტმუნდელმა ველარ ივარგა, დარტყმა მეკარის საკბილოდ აქცია. მასპინძლებმა მაშინღა ამოისუნთქეს, 88-ე წუთზე მიუნხმა ვლადოიუს ჩაჭრა რომ მოიგდო და ნახევარმოედნიანი რეიდი გოლით დაამთავრა.

კვლავ წააგო „ბაირენმა", ამჯერად თითქოს არცთუ მოულოდნელად. თუმცა, შუა მეორე ტაიმში სტუმრებმა გოლის გამტან ლინკეს გაგდება ვერ შეიშნოვეს.

**ვახტანგ ბზიძაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 25 | 16 | 6 | 3 | 48:27 | 54 |
| ბაიერნი | 25 | 14 | 5 | 6 | 49:30 | 47 |
| ლევერკუზენი | 25 | 12 | 9 | 4 | 51:29 | 45 |
| შალკე | 25 | 10 | 11 | 4 | 28:21 | 41 |
| შტუტგარტი | 25 | 11 | 7 | 7 | 44:34 | 40 |
| ჰანზა | 25 | 10 | 5 | 10 | 37:33 | 35 |
| დუისბურგი | 25 | 9 | 7 | 9 | 32:33 | 34 |
| ვერდერი | 25 | 9 | 7 | 9 | 32:40 | 34 |
| ჰერტა | 25 | 9 | 6 | 10 | 30:38 | 33 |
| დორტმუნდი | 25 | 8 | 8 | 9 | 42:39 | 32 |
| ბოხუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 30:37 | 30 |
| კიოლნი | 25 | 9 | 3 | 13 | 41:50 | 30 |
| ვოლფსბურგი | 25 | 8 | 5 | 12 | 30:37 | 29 |
| მიუნხენი | 25 | 7 | 7 | 11 | 32:44 | 28 |
| გლადბახი | 25 | 6 | 8 | 11 | 42:47 | 26 |
| ჰამბურგი | 25 | 6 | 8 | 11 | 29:38 | 26 |
| კარლსრუე | 25 | 6 | 8 | 11 | 35:46 | 26 |
| არმინია | 25 | 7 | 4 | 14 | 31:40 | 25 |

### მეორე ბუნდესლიგა

21-ე ტური. ზანქტ პაული — ცვიკაუ 3:1; აინტრახტი — კოტბუსი 2:0; კარლ ცაისი — ნიურნბერგი 0:3; ლაიფციგი — ფრაიბურგი 2:0; ურდინგენი — კიკერსი 0:2; გიუტერსლო — მაინცი 3:2; ფიურტი — ფორტუნა 0:0; უნტერჰახინგი — დიუსელდორფი დღეს გაიმართება; მეპენი — ვატენშაიდი 17 მარტს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 21 | 13 | 2 | 6 | 31:20 | 41 |
| აინტრახტი | 21 | 11 | 7 | 3 | 32:20 | 40 |
| ფრაიბურგი | 21 | 12 | 2 | 7 | 37:26 | 38 |
| გიუტერსლო | 21 | 8 | 10 | 3 | 25:18 | 34 |
| ურდინგენი | 21 | 9 | 6 | 6 | 22:17 | 33 |
| ზანქტ პაული | 21 | 8 | 8 | 5 | 25:22 | 32 |
| დიუსელდორფი | 20 | 7 | 7 | 6 | 34:30 | 28 |
| კოტბუსი | 21 | 6 | 10 | 5 | 22:19 | 28 |
| ფიურტი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:22 | 28 |
| ფორტუნა | 21 | 6 | 9 | 6 | 29:31 | 27 |
| უნტერჰახინგი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:17 | 26 |
| მაინცი | 21 | 5 | 10 | 6 | 35:34 | 25 |
| ლაიფციგი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:37 | 25 |
| კიკერსი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:36 | 22 |
| ვატენშაიდი | 20 | 5 | 6 | 9 | 21:24 | 21 |
| კარლ ცაისი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:35 | 20 |
| მეპენი | 20 | 3 | 8 | 9 | 25:33 | 17 |
| ცვიკაუ | 21 | 3 | 7 | 11 | 15:30 | 16 |

## საფრანგეთი

XXVIII ტური

**ლიონი 0:0 ნანტი**

**მეცი 3:2 მარსელი**

1:0 როდრიგესი (24), 1:1 რავანელი (54), 2:1 სონგი (70), 2:2 ბრანდო (76), 3:2 როდრიგესი (78)

**ბასტია 1:2 ოსერი**

1:0 სვერჩევსკი (13), 1:1 ჟუნემამი (50), 1:2 გონსალესი (67)

**ბორდო 4:2 გინგამი**

1:0 უიტფორდი (22), 2:0 ფერიე (28), 2:1 ტასფუ (36), 3:1, 4:1 უიტფორდი (52, 63), 4:2 ტასფუ (74)

**მონაკო 0:1 ლანსი**

0:1 ზიანი (53)

**კანი 1:0 სტრასბური**

1:0 ვანენბურგი (13პ)

**პსჟ 1:1 ტულუზი**

1:0 სიმონე (57), 1:1 ტიე (58)

**შატორუ 0:1 მონპელიე**

0:1 რიზეტო (70)

**რენი 2:2 ლე ავრი**

0:1 ბეჩანოვიჩი (19), 1:1 უარდი (35), 1:2 ბეჩანოვიჩი (64), 2:2 კაპრონი (69)

„მარსელი" ლიდერი იყო, „მეცი" — კონკურენტი. ფრანგული ჩემპიონატის მწვერვალზე გამართული ეს დუელი ძალიან საინტერესო გამოდგა და მასში ორი გოლი „მეცის" თავდამსხმელმა ბრუნო როდრიგესმა გაიტანა.

თამაშის წინ მეტოქეებს შორის მხოლოდ ბურთების სხვაობაში იყო განსხვავება, ახლა ქულებშია. ამას საფუძველი როდრიგესმა ჩაუყარა 24-ე წუთზე გატანილი გოლით, რომელიც სეზონში მისთვის მეათე იყო. თავდამსხმელმა მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ჰკრა თავური.

შესვენებიდან ცხრა წუთის შემდეგ იტალიელმა ფაბრიციო რავანელიმ დაბალ პასს უხელთა და ანგარიში გაქვითა, მაგრამ კამერუნის ნაკრებისა და „მეცის" მცველმა რიგობერდ სონგმა ჩინებული სოლო გოლით, ერთობ მახვილი კუთხიდან ისევ მასპინძლები გაიყვანა წინ.

... ანგარიში ისევ გათანაბრდა. სამხრეთელთა გუნდში შეცვლაზე შესულმა ფრედერიკ ბრანდომ გაწოლილი თავურით გადააკვეთინა ბურთს კარის ხაზი. პასი მან კუთხურიდან მიიღო, თუმცა ამ თამაშს ფრედ დამთავრება არ ეწერა, ორ წუთში როდრიგესმა მაინც სამი ქულა ჩამოართვა სტუმრებს, რომელთაც ახლა ბოლო ოთხი შეხვედრიდან (აქედან ორი ჩემპიონატისა იყო) ოთხივე წააგეს.

„მონაკო" მართალია გასული კვირის შუაში „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გაუძალიანდა, მაგრამ „ლანსს" ვერ გაუტოლდა — 0:1 ლანსელთა ერთ-ერთი გოლი სტეფან ზიანიმ გაიტანა და შემდეგ თქვა:

— გულწრფელად რომ გითხრათ, ახლა საკუთარ თავზე ზემოქმედება, მოდი ჩემპიონები გავხდეთო, სასაცილო იქნება. ჩვენი მიზანი ლიგის თასის მოგებაა (ხუთშაბათს „ლანსს" „პარი სენ ჟერმენთან" ნახევარფინალი უწევს, შაბათს კი იმავე გუნდს ჩემპიონატში მასპინძლობს). მე თუ მკითხავთ, მეტი არაფერი მინდა.

„მონაკოს" მწვრთნელი ჟან ტიგანა:

— ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ერთობ რთული საქმე გახდა ამ შეხვედრაში, დამარცხებას კი ვგონებ არ ვიმსახურებდით. ისე, ცოტა ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებდით და ბევრი დაშავებული ფეხბურთელის არყოლაც ხელს გვიშლიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 28 | 15 | 8 | 5 | 41:24 | 53 |
| ლანსი | 28 | 16 | 4 | 8 | 39:28 | 52 |
| მარსელი | 28 | 15 | 5 | 8 | 41:21 | 50 |
| მონაკო | 28 | 15 | 4 | 9 | 41:25 | 49 |
| პსჟ | 28 | 13 | 7 | 8 | 38:27 | 46 |
| ბორდო | 28 | 11 | 10 | 7 | 39:33 | 43 |
| ლიონი | 28 | 13 | 4 | 11 | 31:30 | 43 |
| ოსერი | 28 | 12 | 6 | 10 | 45:37 | 42 |
| ბასტია | 28 | 10 | 10 | 8 | 28:22 | 40 |
| მონპელიე | 28 | 9 | 10 | 9 | 29:33 | 37 |
| ნანტი | 28 | 10 | 6 | 12 | 27:31 | 36 |
| ლე ავრი | 28 | 7 | 12 | 9 | 30:29 | 33 |
| ტულუზი | 28 | 8 | 8 | 12 | 22:38 | 32 |
| რენი | 28 | 7 | 8 | 13 | 30:39 | 29 |
| გინგამი | 28 | 7 | 7 | 14 | 24:35 | 28 |
| კანი | 28 | 7 | 6 | 15 | 28:46 | 27 |
| სტრასბური | 28 | 6 | 8 | 14 | 30:39 | 26 |
| შატორუ | 28 | 7 | 5 | 16 | 25:51 | 26 |

## ჰოლანდია

XXV ტური

**სიტარდი 4:1 მაასტრიხტი**

1:0 ჰამინგი (12), 2:0 კოოლი (38პ), 3:0 ბარკი (60), 3:1 ემერსონი (85), 4:1 ლენკორი (87)

**ჰერენვენი 0:3 ნაიმეგენი**

0:1, 0:2 ვან ეიკერენი (13, 21), 0:3 მესი (45)

**ტილბურგი 1:1 გრააფსხაპი**

0:1 ვისკაალი (71), 0:2 კოლკა (83)

**გრონინგენი 3:1 ვალვაიკი**

1:0 ბერენსი (20), 2:0 მანიო (28), 3:0 ატველდი (54პ), 3:1 ლამერსი (60)

**უტრეხტი 0:1 ეინდჰოვენი**

0:1 მიოლერი (7)

**ვოლენდამი 1:1 სპარტა**

1:0 ბუგერსი (18პ), 1:1 ვან დერ ლაანი (64)

**ტვენტე — აიაქსი**

წვიმის გამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 23 | 20 | 2 | 1 | 71:10 | 62 |
| ეინდჰოვენი | 23 | 14 | 8 | 1 | 64:27 | 50 |
| ჰერენვენი | 24 | 13 | 5 | 6 | 40:31 | 44 |
| ვიტესი | 23 | 12 | 6 | 5 | 53:37 | 42 |
| ფეიენოორდი | 23 | 12 | 6 | 5 | 40:27 | 42 |
| სიტარდი | 24 | 11 | 3 | 10 | 35:40 | 36 |
| ტილბურგი | 24 | 10 | 4 | 10 | 39:38 | 34 |
| ბრედა | 23 | 9 | 4 | 10 | 29:28 | 31 |
| გრააფსხაპი | 25 | 7 | 8 | 10 | 33:28 | 29 |
| სპარტა | 24 | 7 | 8 | 9 | 42:43 | 29 |
| ნაიმეგენი | 24 | 9 | 1 | 14 | 27:46 | 28 |
| ტვენტე | 22 | 6 | 9 | 7 | 25:26 | 27 |
| უტრეხტი | 23 | 8 | 3 | 12 | 42:51 | 27 |
| როდა | 23 | 7 | 5 | 11 | 33:33 | 26 |
| გრონინგენი | 25 | 6 | 8 | 11 | 32:43 | 26 |
| მაასტრიხტი | 24 | 6 | 4 | 14 | 23:55 | 22 |
| ვალვაიკი | 23 | 4 | 6 | 13 | 27:50 | 18 |
| ვოლენდამი | 24 | 3 | 6 | 15 | 20:62 | 15 |

## ავსტრია

23-ე ტური. აუსტრია — რაპიდი 1:1; ლუსტენაუ — ტიროლი 0:0; რიდი — ადმირა 2:1; ზალცბურგი — გრაცი 0:0; შტურმი — ლინცი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 23 | 16 | 6 | 1 | 53:15 | 54 |
| გრაცი | 23 | 12 | 5 | 6 | 37:21 | 41 |
| რაპიდი | 23 | 11 | 5 | 7 | 27:24 | 38 |
| ზალცბურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 33:25 | 34 |
| აუსტრია | 23 | 9 | 6 | 8 | 32:32 | 33 |
| ლინცი | 23 | 9 | 4 | 10 | 40:40 | 31 |
| ტიროლი | 23 | 8 | 6 | 9 | 31:32 | 30 |
| რიდი | 23 | 6 | 7 | 10 | 22:34 | 25 |
| ლუსტენაუ | 23 | 4 | 9 | 10 | 24:37 | 21 |
| ადმირა ვაკერი | 23 | 3 | 2 | 18 | 20:59 | 11 |

## პორტუგალია

24-ე ტური. კამპომაიორენსე — ლეცა 4:0; სეტუბალი — ამადორა 2:1; გიმარაეში — ბელენენსეში 2:2; აკადემიკა — პორტუ 0:1; შავეში — ბოავიშტა 1:3; რიუ ავე — ვარზიმი 0:0; სპორტინგი — მარიტიმუ 1:1; ბრაგა — სალგეირუში 0:2; ფარენსე — ბენფიკა გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 17 | 5 | 2 | 51:24 | 56 |
| ბენფიკა | 23 | 13 | 6 | 4 | 39:20 | 45 |
| გიმარაეში | 24 | 12 | 5 | 7 | 33:19 | 41 |
| ბოავიშტა | 24 | 9 | 10 | 5 | 33:23 | 37 |
| ამადორა | 24 | 10 | 7 | 7 | 33:28 | 37 |
| სპორტინგი | 24 | 9 | 9 | 6 | 28:22 | 36 |
| მარიტიმუ | 24 | 10 | 6 | 8 | 28:25 | 36 |
| რიუ ავე | 24 | 9 | 8 | 7 | 31:28 | 35 |
| სალგეირუში | 24 | 9 | 7 | 8 | 32:27 | 34 |
| ლეცა | 24 | 9 | 4 | 11 | 23:33 | 31 |
| კამპომაიორ. | 24 | 8 | 6 | 10 | 36:39 | 30 |
| ფარენსე | 23 | 6 | 11 | 6 | 31:31 | 29 |
| ბრაგა | 24 | 6 | 9 | 9 | 31:34 | 27 |
| სეტუბალი | 24 | 6 | 7 | 11 | 24:29 | 25 |
| ვარზიმი | 24 | 5 | 10 | 9 | 21:33 | 25 |
| აკადემიკა | 24 | 5 | 9 | 10 | 18:29 | 24 |
| შავეში | 24 | 5 | 3 | 16 | 21:46 | 18 |
| ბელენენსეში | 24 | 2 | 8 | 14 | 14:37 | 14 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპის მეორე ტური: გრასჰოპერი — არაუ 5:3, ლოზანა — სერვეტი 0:0, ლუცერნი — ციურიხი 2:2, სიონი — სენტ გალენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 26 |
| სერვეტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 24 |
| ლოზანა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 22 |
| არაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 21 |
| ციურიხი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 19 |
| სენტ გალენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 19 |
| ლუცერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 16 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 16 |

## ბელგია

25-ე ტური. გენკი — ბრიუგე 3:0; ლიერსი — ვესტერლო 3:1; მოლენბეკი — ჰარელბეკე 0:1; ანტვერპენი — ბევერენი 1:0; გენტი — ეკერენი 0:2; ლოკერენი — ანდერლეხტი 2:1; შარლერუა — აალსტი 1:1; მუსკრონი — ლომელი 2:1; სტანდარდი — სენტ ტრუიდენი 2:0

ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერმა ბრანკო სტუპარმა მე-14 და მე-18 წუთებზე ორი გოლი შეაგდო, ტაიმის დასასრულამდე კრის ვან გიმმა ერთიც გაიტანა და პირველობის ლიდერის, „ბრიუგეს" 24-შეხვედრიანი დაუმარცხებელი სერიაც შეწყდა. „გენკის" ხორვატ თავდამსხმელს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მეორე ნახევარში შექმნილი სამი რეალური საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენა.

„ბრიუგეს" მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა, რომლის გუნდიც მდევარ „გენკს" 14 ქულით უსწრებს, განაცხადა, ახლა თუ ჩემპიონობა ხელიდან გავუშვით, თამაშზე საერთოდ უარი უნდა ვთქვათო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 25 | 21 | 3 | 1 | 60:21 | 66 |
| გენკი | 25 | 16 | 4 | 5 | 55:29 | 52 |
| ეკერენი | 25 | 14 | 5 | 6 | 48:32 | 47 |
| ჰარელბეკე | 25 | 12 | 9 | 4 | 43:24 | 45 |
| ანდერლეხტი | 25 | 11 | 6 | 8 | 38:30 | 39 |
| ლოკერენი | 25 | 12 | 1 | 12 | 48:52 | 37 |
| ლიერსი | 25 | 10 | 6 | 9 | 39:34 | 36 |
| ლომელი | 25 | 9 | 6 | 10 | 38:38 | 33 |
| სტანდარდი | 25 | 8 | 8 | 9 | 36:34 | 32 |
| გენტი | 25 | 7 | 10 | 8 | 36:36 | 31 |
| ვესტერლო | 25 | 7 | 9 | 9 | 37:41 | 30 |
| შარლერუა | 25 | 8 | 6 | 11 | 36:47 | 30 |
| სტ. ტრუიდენი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:29 | 29 |
| აალსტი | 25 | 7 | 7 | 11 | 36:43 | 28 |
| მუსკრონი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:37 | 28 |
| ბევერენი | 25 | 4 | 8 | 13 | 22:40 | 20 |
| მოლენბეკი | 25 | 5 | 4 | 16 | 27:62 | 19 |
| ანტვერპენი | 25 | 4 | 5 | 16 | 26:48 | 17 |

## შოტლანდია

თასის მეოთხედფინალი

**ფალკირკი 3:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 სიტონი (18), 2:0, 3:0 მოსი (34, 48)

**ჰართსი 4:1 ეირი**

1:0 რიჩი (9), 2:0 ფლოგელი (16), 2:1 ფერგიუსონი (19), 3:1 ფალტონი (65), 4:1 ჰამილტონი (82)

**დანდი იუნ. 2:3 სელტიკი**

0:1 ბრატბაკი (10), 1:1, 2:1 ოლაფსონი (18, 52), 2:2 ვიგჰორსტი (55), 2:3 პედერსენი (90ს.კ.)

28-ე წუთზე სტუმართა ნახევარმცველი დერეკ ანდერსონი უხეში თამაშის გამო გააგდეს, თუმცა ამ დროისთვის პირველდივიზიონელი „ეირი" უკვე 1:2 აგებდა. მათგან სენსაციას არც უნდა ელოდოს კაცი — გუნდი თავის ლიგაში ვერ თამაშობს ხეირიანად, იმისთვის იბრძვის, კიდევ უფრო არ დაქვეითდეს და ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ჰართსისთვის" რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია? ისე, მინიმალური სხვაობით დამარცხება სტუმართათვის კარგიც იქნებოდა, მაგრამ „ჰართსმა" მეტოქე არ დაინდო და კიდევ ორი გაიტანა.

კიდევ ერთ ნახევარფინალში „ეირის" თანადივიზიონელმა „ფალკირკმა" პრემიერლიგელი „სენტ ჯონსტონის" 3:0 დამარცხებით სენსაცია მოახდინა. სხვათა შორის, „ფალკირკმა" ზედიზედ მეორედ უწია თასის გათამაშების ნახევარფინალს, თუმცა შარშან ფინალშიც მოახერხა გაძრომა. (გადამწყვეტ მატჩში „ფალკირკი" 0:1 დამარცხდა „კილმარნოკთან").

ბოლო ნახევარფინალისტს „გლაზგო რეინჯერსისა" და „დანდის" თამაში გაარკვევს.

### დინასტიის თასი

**იაპონია 0:2 ჩინეთი**

0:1, 0:2 ლი (10, (16)

**კორეა 1:0 ჰონკონგი**

1:0 ჩოი იონგ სუ (90)

მაშ ასე, ტოკიოს „ოლიმპიურ სტადიონზე" ჩინეთმა მასპინძლებს სძლია, მაგრამ დინასტიის თასი ვერ მოიპოვა და ამაში დამნაშავე გახლდათ კაპიტანი ფან ჟიუი, რომელმაც პენალტი ააცილა.

ეს 77-ე წუთზე მოხდა. ფანმა დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაევლო და [illegible] ჩინეთსა და იაპონიას შორის ბურთების სხვაობით უმჯობესად იაპონია დატოვა.

ამრიგად, იაპონიამ კვლავ მოიპოვა ჯილდო, რომელსაც სამი წლის წინ ჰონკონგში დაეუფლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| კორეა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ჰონკონგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ნაკრების წევრი ხუან ლოპესი პარასკევს შინ, კიბეებზე წაიქცა და-მუხლი შეექნა საოპერაციო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ზაფხულამდე ფეხბურთს ველარ ითამაშებს. არადა, მადრიდის „ატლეტიკოს“ ამ ფეხბურთელმა ნოემბერში მიღებული ტრავმა დაიამა და მალე კვლავ უნდა გამოჩენილიყო მოედანზე. აღსანიშნავია, რომ ესპანელთა ეროვნული გუნდის თავკაცი ხავიერ კლემენტე ლოპესზე იმედს ამყარებდა, მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა სურდა, მაგრამ გეგმა აერია.

**ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაცია თავისი ნაკრების ინგლისელი მწვრთნელის კოლინ მერფის ბედს ჩივის. მერფი, რომელიც გასული წლის ივნისში ვიეტნამელებმა წინასწარ გმირად მიიჩნიეს, იანვრის შუაში ჰანოის სასტუმროდან გავიდა, სამ კვირაში დავბრუნდებიო, დაიბარა და დაიკარგა კიდეც. „ბევრ უკვე ექვსი კვირაა გასული და მწვრთნელი არ ჩანს — განაცხადა ვინმე გორდონ სიმონდსმა, ადგილობრივი სამარკეტინგო კომპანია „სპორტის“ წარმომადგენელმა — სეზონი უკვე დაიწყო, მერფი კი თამაშებს არ ესწრება. არადა, ნაკრების კანდიდატები ჰყავს შესარჩევი“. ბოლო ცნობათა თანახმად, ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა როგორც იქნა მოახერხეს ბრიტანეთში დარეკვა და მერფისთან დაკავშირება, მაგრამ იმის შესახებ, რას აპირებს, ვერაფერი ათქმევინეს. „მან ბოდიში მოიხადა და გვითხრა, რომ ჩვენი ტელეფონის ნომერი დაკარგა“ — უთხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ფამ ნგოკ ვიენმა ვიეტნამური მას-მედიის წარმომადგენლებს. სახელმწიფო გაზეთი „ტაივან ჰოა“ კი პირდაპირ აცხადებს: „მისტერ მერფი პირადული პრობლემების გამო ჩვენთან სამუშაოდ აღარ ჩამოვა“. ჭორების თანახმად, მერფი რომელიღაც ბრიტანულ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.**

**ირლანდიის** ნაკრების კაპიტანმა ენდი თაუნსენდმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სარბიელს ანუ ეროვნულ გუნდში თამაშს თავს ანებებს. თაუნსენდი 34 წლის კაცია, ინგლისურ „მიდლსბროში“ ნახევარმცველად თამაშობს. კარიერაში მას 70-ჯერ მოურგია ირლანდიელთა ნაკრების მაისური და აქედან 40-ჯერ კაპიტნის სამკლაურიც შემოურტყამს. იგი ამბობს, დროა ახალგაზრდა თანამემამულეთ ადგილი დაუთმოო. მოძრავმა ფეხბურთელმა ყურადღება თავიდან „ნორვიჩში“ მიიპყრო, საიდანაც „ჩელსიში“ გადავიდა, ხოლო ლონდონიდან ბირმინგემში გადაბარგდა „ასტონ ვილას“ წევრად. სამშობლოს ნაკრებმა პირველად 1989 წელს უხმო, 1994-ში კი ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იკაპიტნა. 1990-ში, იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა, მაგრამ მაშინ რიგითი ფეხბურთელი გახლდათ. ირლანდიელთა მწვრთნელის მიკ მაკართის თქმით, ენდი ჩინებული კაპიტანი იყო.

**ისრაელის თასზე მერვედფინალური მატჩები შედგა: მაკაბი ჰაიფა — ზაფრირიმ ჰულონი 2:0, ჰაპოელ ჰაიფა — ბეარ შევა 3:4, ჰაპოელ თელ ავივი — ბნეი იეჰუდა 2:1, ბეით შეანი — ბეითარ იერუსალიმი 1:2, რიშონ ლეზიონი — მაკაბი ფეთაჰ ტიკვა 1:0, ჰაპოელ იერუსალიმი — აჰი ნაზრატი 5:3, ჰაპოელ ფეთაჰ ტიკვა — კვარ საბა 3:0, აირონი აშდოდი — მაკაბი თელ ავივი 4:3.**

**ესპანური** „ბეტისის“ გულშემატკივრებმა მწვრთნელის ლუის არაგონესის მოხსნაზე დაიწყეს საუბარი, მათ თასების თასის მეოთხედფინალში ინგლისურ „ჩელსისთან“ 1:2 წაგება ძლიერ არ ესიამოვნათ. ყოველდღიური გაზეთი „მარკაც“ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. „ფლომ „ბეტისი“ პირღია დასტოვა. რამოდენა სირცხვილია, რომ იგი პირველივე წუთებში ვერ მიაძინეს“ — წერდა გაზეთი, რომელიც უპირატესად იმის გამო იყო გაბრაზებული, რომ ესპანური გუნდი „ჩელსის“ ნორვეგიელმა თავდამსხმელმა ტორე ანდრე ფლომ თამაშის საწყის 12 წუთში ორი გოლით დასაჯა. რაც შეეხება „ჩელსის“ კარში ჩაუთვლელ გოლს, მასზე ლუის არაგონესმა თქვა: „ოლი მეკარეს არ შეხებია და წესი არ დაურღვევია, ამიტომ გოლი უნდა ჩაეთვალათ“.

**ალბანეთის ჩემპიონატი. 23-ე ტური. ლაჩი — ბილისი 2:1, ბესა — ლუშნია 0:4, სკენდერბრეუ — ფლამურტარი 6:1, პარტიზანი — ტეუტა 3:0, სოპოტი — ტომორი 2:1, ვლაჰნია — აპოლონია 1:0, ალბპეტროლი — ტირანა 1:3, ელბასანი — დინამო 0:0, შკიპონია — შუმბინი 3:1. 50 ქულით პირველ ადგილზეა „ვლაჰნია“, 46-ით მეორეა „პარტიზანი“, ხოლო „ტირანა“ 45 ქულით მესამეზეა.**

**ბულგარეთის** ჩემპიონატი. მე-18 ტური: სპარტაკი — ცსკა 0:3, ეტური — ვარნა 1:3, სლავია — ლიტექსი 1:2, მინიორი — ლოკომოტივი პლოვდივი 1:0, ბოტევი — მეტალურგი 1:0, ოლიმპიკი — კიუსტენდილი 1:0, დობრუჯა — ნეფტოხიმიკი 0:0, ლოკომოტივი სოფია — ლევსკი 0:0. 45 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს „ლიტექსი“, 40-ით მეორეა სოფიის „ლევსკი“, ხოლო 38-ით „ნეფტოხიმიკი“ მესამე ადგილზე.

**ინგლისელი მწვრთნელი ტრევორ ფრენსისის დარჩება თუ არა „ბირმინგემ სიტის“ სათავეში, კლუბის შეფ დევიდ გოლდთან შეხვედრისას გადაწყდება. ამბობენ, მისი მეუღლე და 18 წლის ვაჟი უკმაყოფილო, მთვრალმა გულშემატკივრებმა დააშინესო. გოლდს ამის გამო უმალ მოუბოდიშებია მწვრთნელისთვის.**



კით გილესპი

## ჩხუბისთავი

„ნიუკასლ იუნაიტედის“ გარემარბი კით გილესპი პარასკევს დააპატიმრეს. შემდეგ თავდებით გაუშვეს.

მიზეზი გახლდათ ჩხუბი, რომელიც ფეხბურთელს თებერვლის ბოლოს გაუხდა.

ამბობენ, ამ დაპატიმრებას საერთო არაფერი აქვს ერთი კვირის წინანდელ ჩხუბთან, რომელიც გილესპის დუბლინის ერთ-ერთ ბარში მოუვიდა... თანაგუნდელ ალან შირერთან და რომლის შედეგადაც იგი, თავგახეთქილი საავადმყოფოში აღმოჩნდა. არაა გამორიცხული, რომ თავის გახეთქვამ გილესპის გზა გაუხსნას „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასასვლელად.

ამაზე უკვე ვწერდით, ახალს კი ვერაფერს დავძენთ.

— ჩვენ ვადასტურებთ, რომ 23 წლის ახალგაზრდა პარასკევს დილით 8 საათსა და 20 წუთზე დააპატიმრეს და ეს დაპატიმრება გეიტსჰედში, უფრო ზუსტად კი უიკემში მომხდარ ინციდენტთან იყო დაკავშირებული — უთხრა დაინტერესებულ ჟურნალისტებს პოლიციის პრეს-ატაშემ.

პრეს-ატაშემ თავი აარიდა ეთქვა, ვინ იყო ის კაცი, მართლა გილესპი თუ სხვა.

ბრიტანულმა პრესამ მის გარეშეც შეიტყო, რომ გილესპი იყო.



ფორმულა 1

I ეტაპი

ავსტრალიის დიდი პრიზი

# ვერცხლისფერი ტრიუმფი

საბოლოოდ, მრბოლები სტარტზე ასე განლაგდნენ:

ჰაკინენი (მაკლარენი) 1.30,010; კულჰარდი (მაკლარენი) 1.30,053; მ. შუმახერი (ფერარი) 1.30,767; ვილნევი (უილიამსი) 1.30,919; ჰერბერტი (ზაუბერი) 1.31,384; ფრენცენი (უილიამსი) 1.31,397; ფიზიკელა (ბენეტონი) 1.31,733; ირვინი (ფერარი) 1.31,767; რ. შუმახერი (ჯორდანი) 1.32,392; ჰილი (ჯორდანი) 1.32,399; ვურცი (ბენეტონი) 1.32,726; ალეზი (ზაუბერი) 1.33,240; ტაკაჯი (ტირელი) 1.33,291; ბარიჩელო (სტიუარტი) 1.33,383; ტრული (პროსტი) 1.33,739; სალო (ეროუსი) 1.33,927; ტუერო (მინარდი) 1.34,646; მაგნუსენი (სტიუარტი) 1.34,906; როსეტი (ტირელი) 1.35,119; პანი (პროსტი) 1.35,251; ნაკანო (მინარდი) 1.35,301.



**შუმი ჩრდილში მოექცა: პირველ რბოლას ბოქსებიდან უყურა**

რბოლას მშვენიერი დარი დაერთო. ჰაკინენი და კულჰარდი თავიდანვე დაწინაურდნენ, მათ მიხაელ შუმახერიც ჩაუდგა კვალში და კულჰარდმაც შეუტია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახალგაზრდა ტუეროს, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა, ჯერ დროზე ადრე დაიძრა ადგილიდან, რისთვისაც მსაჯებმა ათი წამით ბოქსებში მიიხმეს, შემდეგ კი სასჯელმოხდილს ბოქსების წინაც ნამეტანი მოუვიდა — სიჩქარეს გადააჭარბა და კიდევ ათი წამით დაჯარიმდა.

რბოლის ლიდერი კი ტემპს უმატებდა. მან წრის რეკორდიც დაამყარა და საკუთარ თანაგუნდელს 1,5 წამით გაასწრო. შუმახერი ფინელთან 6 წამს აგებდა, ვილნევი კი 10-ს. მეორე წრეზე მარჯვენა მოსახვევში შესვლისას მაგნუსენმა რალფ შუმახერის გასწრება სცადა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, რომ იტყვიან, „კარი მოუკეტა“ და ორივენი ტრასის მიღმა აღმოჩნდნენ. მეთხე წრეზე კი უფროსი შუმის „ფერარი“ აბოლდა და ამანაც ბოქსებიდან განაგრძო რბოლის ცქერა. მესამეზე გადანაცვლებულ ვილნევს კი ფიზიკელა შეუჩნდა. კანადელი ოსტატურად ახერხებდა მეტოქის „შორს დაჭერას“. მალე საწვავის შევსების დრომაც მოატანა და ჰაკინენი ბოქსებში შევიდა. მექანიკოსებმა საქმე 6,8 წამში მოილიეს და ფინელი ტრასას თანაგუნდელის მომდევნოდ, მეორე პოზიციაზე დაუბრუნდა, თუმცა მალე კულჰარდმაც მიაკითხა მომსახურეთ და ლიდერობა ფინელს გადაულოცა. „მაკლარენის“ პილოტების უპირატესობა აშკარა იყო, ყველაზე მაღალ სიჩქარესაც (303,6 კმ-სთ) კულჰარდი ავითარებდა, თუმცა კი თანაგუნდელს 2,930 წამით ჩამორჩებოდა.

ბოქსებს მიკითხვამ ვილნევი მესამედან მეშვიდე ადგილზე ჩაანაცვლა და ფიზიკელას ამოუყენა უკან, ლიდერი კი ჩამორჩენილებს წამოეწია, კარგა ხანს შეყოვნდა ვურცის უკან და ამით განაწყენებული ავსტრიელ პილოტს დაემუქრა კიდეც. როგორც ჩანს, ამან გაჭრა და ბენეტონელმა ლიდერი გაატარა.

ფინელი პილოტი უფრო ასწრაფდა და თანაგუნდელიც შესანიშნავად უმაგრებდა ზურგს, სანამ 36-ე წუთზე ჰაკინენი არ შეცდა. მან ყოვლად გაუგებარი მანევრი ჩაატარა — ბოქსებში შეუხვია, თუმცა კი არ შეჩერებულა და ტრასას ისე დაუბრუნდა, ლიდერობა კი კულჰარდს დარჩა. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს გაუგებრობა ჰაკინენის ინჟინერმა გამოიწვია. „მაკლარენის“ პილოტები რბოლის წინ შეთანხმებულან, ვინც პირველი შევა პირველ მოსახვევში, ლიდერიც ის იყოსო. კულჰარდი 56-ე წრემდე იგებდა. შემდეგ სიჩქარეს ოდნავ უკლო და ეს შეთანხმება ბოლომდე შეასრულა ანუ ჰაკინენი უპრობლემოდ გაატარა. ამ დროისთვის ვერცხლისფერნი ერთი წრით უსწრებდნენ ტრასაზე დარჩენილ მეტოქეებს და, ცხადია, უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ. მათ ახალი სეზონის დაწყება შესანიშნავი გამარჯვებით მიულოცეს „მაკლარენს“, „ბრიჯსტოუნი“ კი პირველი წარმატებით გაახარეს.

ჩასათვლელ ექვსეულში კარგა ხანს ფიზიკელაც იმყოფებოდა, მაგრამ 45-ე წრეზე შეცდა, ბალახში გაისეირნა და რბოლის ადრე, ბოქსებში დასრულება მოუხდა. ამან კი ირვინსა და ვილნევს თითო ადგილით დაწინაურება, ჰერბერტს კი ექვსეულში მოხვედრა გაუადვილა.

პოდიუმზე აცრემლებულმა ჰაკინენმა გამარჯვებულის პრიზი ავსტრალიის პრემიერ-მინისტრისგან მიიღო, შემდეგ კი ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წავივიდა, განსაკუთრებით ღასანანი იყო პიტ სტოპზე დამატებით შესვლა. მაგრამ საბოლოოდ რბოლა ისე დასრულდა, როგორც მსურდა, ამისთვის კი განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა დევიდ კულჰარდს მისი შესანიშნავი საქციელისთვის.“

მაშ ასე, ჩათავდა პირველი რბოლა, რომელმაც დაგვანახა, რომ „მაკლარენი“ შესანიშნავად არის მომზადებული და არც საბურავების შერჩევაში შემცდარა. „ფერარისა“ და „უილიამსს“ კი ჯერ ვერ აქვთ საქმე ისე, როგორც თავად ისურვებდნენ და მდგომარეობის გამოსასწორებლად წამუშავება მოუწევთ, რაც აღნიშნა კიდეც გამარჯვებულებს 1 წრით ჩამორჩენილმა ვილნევმა: „მაკლარენი“ დაფრინავს, ასე რომ, დიდი გარჯა მოგვიწევს მათ დასაწევად. ჩვენ უფრო სწრაფები უნდა გავხდეთ.“ მისმა შეფმა უილიამსმა კი დასძინა, „მაკლარენი“ საუკეთესოდ არის მომზადებული, სეზონის პირველ ნახევარში ალბათ უპირატესობაც ექნება და მერეც მომძლავრდებაო. ერთი სიტყვით, პირველი რბოლის შედეგებმა გუნდებს საფიქრალი გაუჩინა, ვნახოთ, როგორ მოახერხებენ შეცდომების გამოსწორებას მეორე ეტაპისთვის.

**ალეკო ჩაგუძიანი**

### რბოლის შედეგები

ავსტრალიის დიდი პრიზი

8 მარტი, ალბერტ პარკი, მელბურნი

დისტანცია — 58 წრე — 307.516 კმ.

| | | |
|---|---|---|
| 1. ჰაკინენი (მაკლარენ მერსედესი) | 1:31.45,966 (201,101 კმ-სთ) | 10 ქულა |
| 2. კულჰარდი (მაკლარენ მერსედესი) | ჩამორჩა 0.702 წამით | 6 |
| 3. ფრენცენი (უილიამს მეკაქრომი) | 1 წრით | 4 |
| 4. ირვინი (ფერარი) | 1 წრით | 3 |
| 5. ვილნევი (უილიამს მეკაქრომი) | 1 წრით | 2 |
| 6. ჰერბერტი (ზაუბერ პეტრონასი) | 1 წრით | 1 |
| 7. ვურცი (ბენეტონ მეკაქრომი) | 1 წრით | |
| 8. ჰილი (ჯორდან მუგენ ჰონდა) | 1 წრით | |
| 9. პანი (პროსტ პეჟო) | 1 წრით | |

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი — 1.32,438 (21-ე წრე)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბარიჩელო (სტიუარტ ფორდი) | გაიარა 0 წრე |
| მაგნუსენი (სტიუარტ ფორდი) | 1 |
| რ. შუმახერი (ჯორდან მუგენ ჰონდა) | 1 |
| ტაკაჯი (ტირელ ფორდი) | 1 |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 4 |
| ნაკანო (მინარდი ფორდი) | 8 |
| ტუერო (მინარდი ფორდი) | 22 |
| სალო (ეროუსი) | 23 |
| როსეტი (ტირელ ფორდი) | 25 |
| ტრული (პროსტ პეჟო) | 26 |
| ფიზიკელა (ბენეტონ მეკაქრომი) | 44 |

**პირადი პირველობა**

1. ჰაკინენი 10 ქულა; 2. კულჰარდი 6; 3. ფრენცენი 4; 4. ირვინი 3; 5. ვილნევი 2; 6. ჰერბერტი 1

**გუნდური პირველობა**

მაკლარენი 16 ქულა; უილიამსი 6; ფერარი 3; ზაუბერი 1



# ლიგა წესების შეცვლას ამოწმებს

ნჰლ-ში შედეგიანობის ყოველწლიურად კლებას ლიგის მესვეურები ერთობ შეუშფოთებია და ამას ლიგა სახეცვლილი წესებით შეებრძოლება. როგორც ცნობილი გახდა, 20 მარტიდან 5 აპრილამდე ერთ-ერთ ქვედა ლიგაში, რომელშიც ნჰლ მუდამ სცდის ხოლმე სხვადასხვა სიახლეს, ხუთი ახალი წესი შემოწმდება. ყოველივე ეს არანაკლებ ორ მატჩში მოხდება.

აი, რას გვთავაზობს ნჰლ:

1. საჯარიმო სკამზე მჯდომმა ჰოკეისტმა (იგულისხმება ორწუთიანი ჯარიმები) აუცილებლად უნდა მოიხადოს მთელი სასჯელი, მიუხედავად იმისა, გაიტანს თუ არა მოწინააღმდეგე გუნდი შაიბას რიცხვმრავლობაში ყოფნისას;

2. მეკარეებს ეკრძალებათ კარსუკან შაიბის ტარება;

3. მოთამაშეები თავიანთ კარსუკან არ უნდა გაჩერდნენ, რათა დროის გაყვანის საშუალება არ მიეცეთ;

4. ნეიტრალურ, ანუ ცენტრალურ ზონაში შაიბის ჩაგდება (ანუ ფეის-ოფი) უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, გუნდებს კი ამ დროს შემადგენლობების შეცვლის უფლება არა აქეთ;

5. კარის ხაზი ბორტებს კიდევ 2 ფუტით უნდა დაშორდეს და ამ მანძილმა 13 ფუტი შეადგინოს.

საინტერესოა, რომ ამ ხუთ ცვლილებაში არ შევიდა იიჰფ-ს (ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია) მიერ მიღებული ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზის წესი,“ რომელიც ნჰლ-ის მესვეურებმა სასტიკად გააკრიტიკეს.

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარცხავა, ირაკლი შენგელია

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29